გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 64

2020 წლის 12 ივნისი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების, არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.46.24.509.602) პირობიანი აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის 6 თებერვალს №2521 განცხადებით მომართა ფ.პ დავით კარბელაშვილმა (პ/ნ 59001025283) და მოითხოვა გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ს/კ 66.46.24.509.602 (მისამართი: მუნიციპალიტეტი გორი, ადმინისტრაციული ერთეული კარალეთი, ბლოკი N516. ნაკვეთი N010) იჯარის ფორმით გადაცემა.

აუდიტორული კომპანიის შპს „აუდიტეკონომიქსი"-ს მიერ 2020 წლის 24 თებერვალს „აუდიტორული დასკვნა, უძრავი ქონების შეფასების შესახებ ანგარიში" გრ-№18 დასკვნით, მუნიციპალიტეტი გორი, ადმინისტრაციული ერთეული კარალეთი, ბლოკი N516, ნაკვეთი N010 (ს/კ 66.46.24.509.602) ფართობით: 300.00 კვ.მ, არასასოფლო- სამეურნეო მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 21 300.00 ლარით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს;

გამომდინარე იქიდან, რომ გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების მიღების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული - მისამართი: მუნიციპალიტეტი გორი, ადმინისტრაციული ერთეული კარალეთი, ბლოკი N516, ნაკვეთი N010 - ის (ს/კ 66.46.24.509.602) ფართობით: 300 კვ.მ, პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (მისამართი: მუნიციპალიტეტი გორი, ადმინისტრაციული ერთეული კარალეთი, ბლოკი N516, ნაკვეთი N010 - ის ს/კ 66.46.24.509.602, ფართობით: 300 კვ.მ) პირობიანი აუქციონის ფორმით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემაზე.
2. მუნიციპალიტეტი გორი, ადმინისტრაციული ერთეული კარალეთი, ბლოკი N516, ნაკვეთი N010 (ს/კ 66.46.24.509.602), ფართობით: 300 კვ.მ, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 21 300.00 ლარით.
3.საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1200 (ერთი ათას ორასი) ლარით.
4. აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი: ს/კ 66.46.24.509.602 მიწის ნაკვეთზე მოეწყოს მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობა (კომერციული დანიშნულებისთვის), რომელიც შეთანხმებულ იქნას, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურთან, ასევე გორის მუნიციპალიტეტის მერიის საჭიროებიდან გამომდინარე, მოთხოვნის შემთხვევაში, დამონტაჟებული მსუბუქი კონსტრუქცია აღებულ იქნეს „მოიჯარე" - ს მიერ საკუთარი ხარჯებით.
5.იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 10 (ათი) წლის ვადით.
6.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე